საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030496440865320

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ ****/***********/**** ***

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს,
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

მოგეხსენებათ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში-სააგენტო), „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილების ფარგლებში, ახორციელებს C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფას, როგორც დონორული მხარდაჭერით მიღებული (ლედიპასვირი/სოფოსბუვირი 90მგ/400მგ-სავაჭრო დასახელება ,,ჰარვონი 90მგ/400მგ'' (შემდგომში-ჰარვონი), სოფოსბუვირი/ველპატასვირი 400მგ/100მგ - სავაჭრო დასახელება ,,ეპკლუსა 400მგ/100მგ'' შემდგომში - ეპკლუსა)), ასევე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდული მედიკამენტით (რიბავირინი).

მედიკამენტის ,,ჰარვონი'' დონაცია საქართველოში ხორციელდება 2016 წლის 9 თებერვლიდან, ხოლო მედიკამენტ ,,ეპკლუსას'' დონაცია 2018 წლის 22 ნოემბრიდან.

ელიმინაციის ელექტრონული სისტემიდან და ანალიტიკური მოდულიდან მიღებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2019 წლის იანვრიდან 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით, პროგრამის მკურნალობის კომპონენტში პაციენტთა ჩართულობის საშუალო თვიური მაჩვენებელი შეადგენს **1100**-ს. მას შემდეგ, რაც პაციენტთა მკურნალობა ხელმისაწვდომი გახდა პანგენოტიპურ მედიკამენტ ეპკლუსას რეჟიმებით, ყოველთვიურად, კომისიაზე გასულ პაციენტთა 46%-ს სამკურნალოდ ენიშნებოდა ჰარვონი, ხოლო 53,2%-ს ეპკლუსა (მკურნალობის რეჟიმი მოიცავს 12 ან 24 კვირას, 1 კოლოფი (28 აბი) 4 კვირაში ერთხელ) .

2020 წლის 16 იანვრის მდგომარეობით, სააგენტოს ცენტრალურ საწყობსა და პროგრამის მიმწოდებელ დაწესებულებებში, ჰარვონის სარეზერვო მარაგი შეადგენს 728 კოლოფს. რაც შეეხება, მედიკამენტ ეპკლუსას, ცენტრალურ საწყობში მისი მარაგი სრულად ამოწურულია, ხოლო პროგრამის მიმწოდებელ დაწესებულებებში (სულ 40) დარჩენილია 160 კოლოფი.

ამ ეტაპზე, პროგრამაში ჩართული 646 პაციენტის მკურნალობის კურსის დასასრულებლად საჭიროა დაახლოებით 662 კოლოფი ეპკლუსა (მონაცემები იცვლება საათობრივად, ბენეფიციართა მიმართვიანობის შესაბამისად). სააგენტოს სარეზერვო მარაგში მედიკამენტ ეპკლუსას დეფიციტის გამო, იანვრის თვეში, მოსალოდნელია პაციენტთა მკურნალობის შეფერხება. ამავე მიზეზით, ვერ ხორციელდება 2126 მომლოდინე პაციენტის პროგრამის მკურნალობის კომპონენტში ჩართვა, რაც ცალსახად გამოიწვევს სახელმწიფო პროგრამის წყვეტას და საფრთხეს შეუქმნის C ჰეპატიტით დაავადებულ პაციენტთა ჯანმრთელობას.

სსიპ სოციალური მომოსახურების სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტში 2020 წლის 14 იანვარს შემოვიდა ბენ კამარკის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, ელექტრონული ფოსტის საშუალებით გამოგზავნილი წერილი, თანმხლები დოკუმენტაციით N3265, რომლის თანახმადაც, კომპანია გილეადი ითხოვს ნებართვას C ჰეპატიტის ელიმინაციის პროექტის ფარგლებში, საქართველოს წინაშე

აღებული ვალდებულების შესასრულებლად, განახორციელოს 4003 ბოთლის (სერია 3105355 და 3105979) სოფოსბუვირი400მგ/ველპატასვირი100მგ (სავაჭრო დასახელება ,,MyHep ALL 400mg/100mg'' მწარმოებელი Mylan, ინდოეთი) იმპორტი.

თანმხლები დოკუმენტაციის (და ასევე ელექტრონული ფოსტით მოწოდებული დამატებითი ინფორმაციის) თანახმად (იხ.დანართი) ირკვევა, რომ მედიკამენტი - სოფოსბუვირი 400მგ/ ველპატასვირი100მგ - სავაჭრო დასახელებით ,,MyHep ALL 400mg/100mg'' არ არის საქართველოში რეგისტრირებული და შესაბამისად, ვერ განხორციელდება საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გაფორმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბენეფიციართა უწყვეტად მომრაგებისა და მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია მედიკამენტი შემოტანილი იქნეს „განსაკუთრებულ პირობებში (სტიქიური უბედურება, მოსახლეობის მასობრივად დაზიანება, ეპიდემია, იშვიათი დაავადება) ჰუმანიტარული მიზნით, აგრეთვე სხვა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ინტერესების არსებობისას, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანხმობით საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე ფარმაცევტული პროდუქტის დაშვების რეჟიმების გვერდის ავლით, არაკომერციული მიზნით შემოტანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 13 ოქტომბრის N327/ნ ბრძანებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

დანართი: 56 (ორმოცდათექვსმეტი) ფურცელი;

1 (ერთი) Excel ფაილი

პატივისცემით,

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი წოწკოლაური